აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№52 (24.932) ხუთშაბათი, 26 - 27 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 17-22, მაღალ მთაში - 10-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 753 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

საკადრო ცვლილებები - აჭარის მთავრობაში

აჭარის მთავრობაში საკადრო ცვლილებებია: აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტი ზაზა შავაძემ დაიკავა, რომელიც ამ დრომდე აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა, აჭარის სოფლის მეურნეობის უკვე ყოფილი მინისტრი გიორგი სურმანიძე კი მუშაობას ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში აგრძელებს მინისტრის მოადგილედ. ახალი მოადგილე ჰყავს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს - ეს პოსტი ედუარდ ნაკაშიძემ დაიკავა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახალი უფროსი მამუკა თურმანიძეა, რომელიც მანამდე ამავე უწყების ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა. გუშინ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ აჭარის სამინისტროებში შეხვედრები გამართა და თანამშრომლებს ახალი მინისტრი და მინისტრის მოადგილეები წარუდგინა

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე თორნიკე რიყვაძემ, სადაც მან ზაზა შავაძე თანამშრომლებს ოფიციალურად წარუდგინა, აღნიშნა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება, სამინისტროს დაევალოს მოკლე და გრძელვადიანი გეგმისა და ხედვის შემუშავება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება უწყების მუშაობის შეჯამება და ეს უნდა მოხდეს წლის ბოლომდე. საუბარი შეეხო ასევე სამინისტროში დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებს.

„ძალიან დიდი პასუხისმგებლობა მერგო წილად და მზად ვარ, რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საქმეში ჩემი ენერგია, გამოცდილება და შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენო," - განაცხადა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ახალი მოადგილის გიორგი სურმანიძის წარდგენისას, საუბარი აჭარაში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს შეეხო.

თორნიკე რიყვაძემ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ნინო ნიჟარაძესთან ერთად, სამინისტროს თანამშრომლებს მინისტრის ახალი მოადგილე წარუდგინა. ედუარდ ნაკაშიძე მინისტრის მოადგილის რანგში, ეკომიგრაციის მიმართულებას უხელმძღვანელებს. მას საჯარო სამსახურში საქმიანობის 19-წლიანი გამოცდილება აქვს. წლების განმავლობაში დასაქმებული იყო აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, ხოლო ბოლო პერიოდში საქმიანობდა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში, ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების განყოფილების უფროსად. ედუარდ ნაკაშიძე აქტიურად იყო ჩართული ე.წ. ოცნების ქალაქში მცხოვრები ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი სპეციალური კომისიის მუშაობაში. მინისტრის პირველი მოადგილის პორტფელი მარი ზანაქიძემ ჩაიბარა.

თორნიკე რიყვაძემ ასევე წარადგინა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი მამუკა თურმანიძე, რომელიც მანამდე ამავე უწყების ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

ელენე საყვარელიძე

კრიალოსანი

საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი მხარს უჭერს იდეას, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროპული ოჯახის წევრი და ეს არ არის მხოლოდ მთავრობის არჩევანი; ეს ქართველი ხალხის ცივილიზაციური არჩევანია, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ პანელზე - „სამეზობლოსთან ევროკავშირის პარტნიორობის ხელახალი გააზრება". საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად პანელში მოლდოვის პრემიერ-მინისტრი, ესტონეთის პრეზიდენტი და ავსტრიის ევროპულ და საერთაშორისო საქმეთა ფედერალური მინისტრი მონაწილეობდნენ. 24-25 მაისს დავოსში ღარიბაშვილმა, ასევე, გამართა სხვა მაღალი დონის შეხვედრები.

* * *

გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მინისტრის საათის ფორმატში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე წარსდგა. 27 მაისს პლენარულ სხდომაზე ინტერპელაციის პროცედურა გაიმართება. ინტერპელაციის წესით პარლამენტის წევრების შეკითხვებს უპასუხებენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა, ასევე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და იუსტიციის მინისტრები.

* * *

სამხრეთ კავკასიაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალურმა წარმომადგენელმა კარი ჰენრიკსენმა ხურვალეთში საოკუპაციო ხაზი მოინახულა და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებს ადგილზე გაეცნო. საქართველოში ვიზიტად მყოფი ევროპელი პოლიტიკოსი ჰუმანიტარული ვითარებით და დევნილი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობით დაინტერესდა და საოკუპაციო რეჟიმის მიერ წარმოებულ ქმედებებზე ინფორმაცია მოისმინა.

* * *

ოპოზიციამ ძალიან მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწია. ჩვენ შევძელით შეთანხმებულიყავით ტექსტზე, რომლითაც ევროკავშირის ხელმძღვანელობას მივმართავთ და ვთხოვთ, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭონ, - განაცხადა „მოქალაქეების" ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან იოსელიანმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას. მისი თქმით, ამ შეთანხმებით უნდა დასრულდეს აყიოტაჟი, თითქოს ოპოზიციაში ვინმეს არ სურს საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს.

მოამზადა
ია შველიძემ

26 მაისი - ეპოქალური თარიღი 3

რა უნდა ვიცოდეთ «მაიმუნის ყვავილზე» 5

მირიან მეტრეველი: მშენებელი მიეჩვია ნებართვების გაცემის სიმარტივეს და ახალ წესებზე გადასვლა უძნელდება 4

საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობას საკრებულოს თანხმობა აღარ დასჭირდება

პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსებში შესატან ცვლილებებს, რომელიც საკრებულოს შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის უფლებამოსილების დაწყების ვადის განსაზღვრას შეეხება

კანონპროექტში ცვლილებები პარლამენტის პლენარულ და, ასევე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომებზე ოპოზიციასთან მიღწეული ზოგადი პრინციპული შეთანხმების საფუძველზე შევიდა. მას მხარი დაუჭირეს „ნაციონალური მოძრაობის“ და გახარიას გუნდის წევრებმა.

შედეგად, როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, ასევე, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილება შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების საფუძველზე იქნება ცნობილი და თავად საკრებულოს თანხმობა აღარ დასჭირდება.

„კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შევა კანონის 135-ე მუხლშიც, რომელიც ადგენს მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებათა ვადებს, კერძოდ: ახალარჩეული საკრებულოს და მისი წევრების უფლებამოსილება იწყება არჩევნების საბოლოო შედეგების იმ შემაჯამებელი ოქმის ცესკოს ოფიციალური ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან, რომლითაც ამ საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევა დასტურდება; საკრებულოს შუალედურ არჩევნებში არჩეული წევრის უფლებამოსილება იწყება საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან; პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი ადგილმონაცვლეობის ცნობის შესახებ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სათანადო აქტის გამოცემიდან მე-14 დღიდან.

პროექტის თანახმად, ახალარჩეული მერის უფლებამოსილებაც დაიწყება არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან.

კანონპროექტის თანახმად, კანონის ამოქმედებისთანავე დაიწყება საკრებულოს იმ არჩეული წევრის უფლებამოსილება, რომლის უფლებამოსილებაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ დაწყებულა, მაგრამ რომლის არჩევა დასტურდება შემაჯამებელი ოქმით.

ასევე, ამ კანონის ამოქმედებისთანავე დაიწყება პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის იმ ადგილმონაცვლე პირის უფლებამოსილება, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე არ დაწყებულა, თუმცა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტი მისი ადგილმონაცვლეობის ცნობის შესახებ ძალაშია შესული“, - აღნიშნულია პარლამენტის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

საკრებულოს წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის პრობლემა ამ დრომდე არის ბათუმისა და სენაკის საკრებულოებში. პარლამენტის მიერ მიღებული კანონით აღნიშნული საკითხი გვარდება.

ია შველიძე

საქართველომ – უკრაინაში...

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ანდრი კასიანოვის თქმით, საელჩოს მოლოდინი აქვს, რომ 1 ივნისიდან საქართველოში უკრაინელ ლტოლვილთა განთავსების პრობლემა აღმოიფხვრება.

კასიანოვმა დღეგანდელ ბრიფინგზე ისაუბრა საქართველოს მხრიდან მხარდაჭერაზე. მათ შორის, თქვა, რომ საქართველომ უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარების სახით 1000 ტონა ტვირთი გაგზავნა. ამასთანავე, საელჩოს სპეციალურ ანგარიშზე გადაირიცხა 2 მილიონ ლარზე მეტი - სხვადასხვა ვალუტაში.

საელჩომ ამ თანხებით სამედიცინო აღჭურვილობა და სხვა ტიპის დახმარება გაგზავნა უკრაინაში.

„ჩვენ მადლიერები ვართ იმისთვის, რომ საქართველო გააგრძელებს უკრაინის მხარდაჭერას - უკრაინელი ლტოლვილების მიღებისა და მათი განთავსების საკითხში და ამისთვის, საქართველოს მთავრობა გამოყოფს 7 მილიონ აშშ დოლარს.

ჩვენ ველით, რომ შესაბამისი გადაწყვეტილებები მთავრობის მიერ იქნება უახლოეს დროში მიღებული და აღარ იქნება პრობლემები უკრაინელი ლტოლვილების საქართველოში განთავსებასთან დაკავშირებით, ამას ველოდებით 2022 წლის პირველი ივნისიდან“ - ამბობს კასიანოვი და მადლობას უხდის საქართველოს განათლების სამინისტროს უკრაინელი ბავშვებისთვის თბილისსა და ბათუმში სკოლებში უკრაინული სექტორების გახნისთვის.

ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაციით, დღეს საქართველოში 20 ათასამდე უკრაინელი ლტოვილი იმყოფება, რომელთაგან 5 ათასზე მეტი - არასრულწლოვანია.

დღემდე არ არსებობს საქართველოში მყოფი ათასობით უკრაინელი ლტოლვილის დახმარების ერთიანი, სისტემატიზებული სამთავრობო გეგმა. საკითხს ჯერჯერობით მუნიციპალიტეტები კურირებენ, თუმცა მათი რესურსი ამოწურვადია და ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ 1 თვით. ამის შემდეგ კი უკრაინელები კერძო ინიციატივების იმედად რჩებიან ან ქვეყანას ტოვებენ.

იაპონია აჭარის სპორტული პოტენციალით დაინტერესდა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და იაპონიის ტოკუშიმას რეგიონის სპორტის და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტებს შორის, საქართველოში იაპონიის საელჩოს ინიციატივით, პირდაპირი ონლაინ ჩართვა შედგა



თბილი მისალმების შემდეგ, მხარეებმა ინკლუზიური საზოგადოების სპორტული აქტივობების პრეზენტაციები გამართეს. ტოკუშიმას რეგიონმა 2019 წელს საქართველოს რაგბისტებს და პარაოლიმპიურ კომიტეტს უმასპინძლა.

ამჯერად, იაპონიის მხარე განსაკუთრებით დაინტერესებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული და სპორტული პოტენციალით და უახლოეს მომავალში ბათუმში ვიზიტს გეგმავს.

ანკა ჩხიკვაძე

სარეაბილიტაციო სამუშაოები - ორგანიზებულად

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ოლადაურის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი ექვს სოფელს ემსახურება. მოსახლეობა ექიმ მაია ბოლქვაძისა და სამედიცინო პერსონალის მომსახურებით კმაყოფილია, მაგრამ 15 წლის წინ აგებული შენობა პაციენტებს დისკომფორტს უქმნის

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან 26 ათასი ლარი გამოიყო ფასადის და ინტერიერის რეაბილიტაციისთვის. საკონკურსო შერჩევის შემდეგ სამუშაოებს «გიკუ 2010» (დირექტორი მერაბ ზოიძე) შეუდგა. შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ.

- თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ სამუშაოები ხარისხიანად, პროექტის შესაბამისად მიმდინარეობს. კიდევ რამდენიმე კვირა და შენობა ხარაჩოებს ჩამოიხსნის, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

მოიჯარეები სეზონურ სამუშაოებს წელსაც განახორციელებენ

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ქობულეთში საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. საკრებულომ მუნიციპალიტეტის მერიას უფლება მისცა, საკუროორტო სეზონზე პლაჟსა და ცენტრალურ ქუჩებზე უძრავი ქონება განკარგოს. მოიჯარეებს წელსაც უფლება ექნებათ, სეზონური სამუშაოები განახორციელონ. საკითხი საკრებულოს წევრებს ქობულეთის მერის მოადგილემ გააცნო.

ასევე, სხდომაზე, გახარიას პარტიის „საქართველოსთვის“ წევრებმა დღის წესრიგის გარეშე წარადგინეს მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები რამდენიმე სოციალურად დაუცველი ოჯახის პრობლემა, ისაუბრეს ინფრასტრუქტურული საკითხის მოგვარების აუცილებლობაზე. ქობულეთის მერიის ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ხელმძღვანელებმა გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინეს.



საკრებულოს სხდომას ბოიკოტის ნიშნად არ ესწრებოდნენ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები.

თბილისიდან – ბათუმში... 3:40 საათში

„წელს დაგეგმილია სამტრედია-გრიგოლეთის პირველი და მეოთხე მონაკვეთების დასრულება. მთლიანობაში, 21 კილომეტრი გზა წელს დასრულდება, რაც ზესტაფონის არგვეთას კვანძიდან ლანჩხუთამდე 86 კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალური გზით გადაადგილების საშუალებას მოგვცემს“, - განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ პარლამენტში „მინისტრის საათის“ ფორმატში გამოსვლისას. მისი თქმით, სამტრედია-გრიგოლეთის გზის პირველ და მეოთხე მონაკვეთებზე ქართული კომპანიები მუშაობენ, ხოლო მესამე მონაკვეთის ასაშენებლად სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს. ქარსელაძის განცხადებით, ინტენსიური მუშაობაა გრიგოლეთი-ქობულეთის 14 კმ-იან მონაკვეთზე, საიდანაც წელს 11 კმ-ის, ხოლო გაისად დარჩენილი 3 კმ-ის დასრულებაა დაგეგმილი. „შესაბამისად, 2022 წელს დაგეგმილი საგზაო მონაკვეთების გახსნის შედეგად, თბილისიდან ბათუმამდე გადაადგილების დრო კიდევ უფრო შემცირდება - მგზავრობას მხოლოდ 3 საათსა და 40 წუთს მოვანდომებთ“, - განაცხადა მინისტრმა.

ამირან გურიელიძე

26 მაისი – ეპოქალური თარიღი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ზუსტად 104 წლის წინათ, 26 მაისს, ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და განთავისუფლდა რუსეთის იმპერიული მარწუხებისგან. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა. როგორ ჩაეყარა საფუძველი ამ დიად თარიღს?

ისტორიკოსები მართებულად აღნიშნავენ, რომ 1918 წელს თავისუფლების მოპოვება რუსეთის იმპერიის დაშლამაც განაპირობა. ეს საკმაოდ მრავალმხრივი პროცესის შედეგი იყო, რომელიც მიმდინარეობდა არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. ცხადია, რუსეთს თავის დაპყრობილ ტერიტორიებზე სისტემატურად უწევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, რაც ამცირებდა მის შიდა რესურსებს. ამას დაემატა იმპერიაში გამეფებული კორუფცია, ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი, საერთაშორისო პოლიტიკური დაძაბულობა, რომელშიც ჩაერთო რუსეთი და ეს მისთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა. რუსეთი ყველა ფრონტზე სერიოზულ პრობლემებს აწყდებოდა, რასაც ავტომატურად მოჰყვა ქვეყნის შიგნით სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის გაღრმავება. ამით ისარგებლეს რუსეთის იმპერიის გარკვეულმა ძალებმა (ბოლშევიკებმა) და დაპყრობილმა ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ.

1918 წელი, კვირა, 26 მაისის ნაშუადღევი, 16 საათი და 50 წუთი. საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ. დღის წესრიგში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. თავის სიტყვაში ნოე ჟორდანიამ ხაზგასმით აღნიშნა ქვეყნის მიზნები და ამოცანები, შემდეგ კი (17 საათსა და 10 წუთზე) წაიკითხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის აქტი“. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ მე-18 საუკუნის დასასრულს, გარე მტრების შემოსევების შედეგად, იგი თავისი ნებით შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ. ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დამოუკიდებლობის აქტი. მთელი ერი მიესალმა ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებას. საკმარისია თვალი გადავავლოთ იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომ ცხადი გახდეს, როგორ ელოდა ქართველი ერი ამ დღეს. „დიდხანს ისმოდა ტაში და ოვაცია. მყუდროების დამყარების შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, ეროვნული საბჭოს მდივანი, მეფისნაცვლის (ახლანდელი - მოსწავლე-ახალგაზრდობის) სასახლის აივანზე გავიდა და იქიდან წაუკითხა ხალხს დამოუკიდებლობის აქტი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მთელმა ქართველმა ერმა იზეიმა“ - იტყობინებოდა იმდროინდელი ქართული პრესა. „ამიერიდან საქართველოს ხალხი, სუვერენულ უფლებათა მატარებელია. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკა, საერთაშორისო ომიანობაში ნეიტრალური სახელმწიფოა“, - საზეიმოდ გამოცხადდა ეროვნული საბჭოს ისტორიულ სხდომაზე. დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკამ სამი წელი იარსება, ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, მაგრამ ისეთი ზესტრატეგიული არა, რომ ქვეყანა გარე აგრესიისგან დაეცვა. საქართველოში დამოუკიდებლობა საკმაოდ რთული საერთაშორისო და საშინაო ვითარების ფონზე გამოცხადდა, ამასთან, საქართველოს არ ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მართვის გამოცდილება, შესაბამისად, ხელისუფლება არსებული ვითარებიდან გამომდინარე მოქმედებდა და ცდილობდა, მაქსიმალურად გაეკონტროლებინა სათანადო ღონისძიებები, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო სახელმწიფოებრიობის განმტკიცება. ბუნებრივია, ხელისუფლება პარალელურად მუშაობდა ახალი პოლიტიკური სისტემის შექმნაზე... დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება დემოკრატიული განვითარების ბუნებრივ კალაპოტში ჩადგა. მოესწრო ორი არჩევნების ჩატარება: 1919 წელს საყოველთაო ხმის უფლებით ჩატარებული არჩევნების შედეგად აირჩიეს მრავალპარტიული პარლამენტი, ხოლო 1920 წელს გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ახალი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი შეცდომების მიუხედავად, არსებობის მოკლე დროში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მრავალი წარმატებული რეფორმა გაატარა, კერძოდ, სახელმწიფო ახალისებდა თავისუფალ ბაზარს და უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკაში, განხორციელდა საკრედიტო რეფორმა, ქვეყანაში არსებობდა სრული პოლიტიკური თავისუფლება, მრავალფეროვანი პრესა. სასამართლოში შემოიღეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და დაბალი დონის მოსამართლეთა არჩევითობა, მაშინდელი ხელისუფლების დადებითი შეფასებისთვის, არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც 1921 წლის თებერვალში მიიღო საქართველოს პარლამენტმა. ეს კონსტიტუცია, ფაქტობრივად, გახდა საქართველოს ახალი პოლიტიკური სისტემის იურიდიული გაფორმების საფუძველი, თუმცა განვითარებულმა მოვლენებმა მის ამოქმედებას ხელი შეუშალა. რამდენიმე დღეში ბოლშევიკური რუსეთი საქართველოს თავს დაესხა. ქვეყნის ხელისუფლება მაშინ სათანადო სიმაღლეზე რომ მდგარიყო და შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და მოსახლეობის მობილიზაციისთვის ემუშავა, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა, ბოლშევიზმის თავიდან აცილება... მაგრამ მივიღეთ სრულიად განსხვავებული ვითარება - მოხდა ქვეყნის ოკუპაცია-ანექსია. სამწუხაროდ, თავისუფლების შეგრძნება მხოლოდ სამ წელიწადს ასულდგმულებდა ქართველ ერს, შეიდეგ კი, 1921-დან 1991 წლამდე, ანუ მთელი 70 წელი საქართველო საბჭოთა კავშირის „მოძმე“ რესპუბლიკა იყო, სინამდვილეში კი კოლონიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.



სახელმწიფო ახალისებდა თავისუფალ ბაზარს და უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკაში, განხორციელდა საკრედიტო რეფორმა, ქვეყანაში არსებობდა სრული პოლიტიკური თავისუფლება, მრავალფეროვანი პრესა. სასამართლოში შემოიღეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და დაბალი დონის მოსამართლეთა არჩევითობა, მაშინდელი ხელისუფლების დადებითი შეფასებისთვის, არგუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს კონსტიტუცია

ხალხში მაინც შემორჩა იმ პირველი, დიადი განაცხადის ხსოვნა და დროდადრო მაინც ჟონავდა თავისუფალი აზრი, თვით გასაბჭოების პირველ ხანებშიც, როცა ძალადობა მძვინვარებდა, ეროვნული სული არ ჩამკვდარა. მაგალითად, გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი“ 1921 წლის 12 მარტს უკვე გასაბჭოებული, დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს მოსახლეობისთვის წერდა: „ქართველი ხალხისთვის რევოლუციის მონაპოვრებიდან არაფერი ყოფილა ისე მტკიცე და ძვირფასი, როგორც 26 მაისის აქტი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება“. დიახ, ეს ასე იყო, რადგან ქართველობა, როგორც ისტორიიდან ცნობილია, არ ეპუებოდა მონობის უღელს და თავისუფლებისთვის ბრძოლა თითქმის 70 წელი მიმდინარეობდა. ჩვენდა საბედნიეროდ, გასული საუკუნის 70-90-იანი წლების ქართველ მამულიშვილებს საგანგებო მისიის აღსრულება ხვდათ წილად. ეროვნული მოძრაობის ლიდერების ძალისხმევით, ქართველმა ერმა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე ეროვნულ დამოუკიდებლობას ერთხმად დაუჭირა მხარი, ხოლო 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ, სწორედ 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის აღდგენის გამოცდილებით, შეიძლება ითქვას, წარმატებით დაასრულა ქართველი ერის პერმანენტული ბრძოლა თავისუფლებისთვის - ჩვენმა ქვეყანამ კვლავ მოიპოვა უფლება, ჩამდგარიყო სუვერენულ სახელმწიფოთა რიგებში და თავად ყოფილიყო საკუთარი ბედის განმგებელი. თანაც ახალი მსოფლიო წესრიგი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის კურსი დემოკრატიისა და ევროკავშირისკენ მიემართება და სანამ ამ გზით ვივლით, პროგრესული ქვეყნების მხარდაჭერა არ მოგვაკლდება. ისიც აღსანიშნავია, რომ ევროკავშირისა და ნატოსკენ სწრაფვა დემოკრატიული და ძლიერი ქვეყნების ხვედრია და ამის გაცნობიერება 104 წლის გადასახედიდან უკეთ შეგვიძლია, სწორედ მაშინდელი მთავრობის შეცდომებმა და პარტიათა გათიშულობამ მოგვიტანა რუსეთის იმპერიის კოლონიური უღელი. სამწუხაროდ, თითქმის ანალოგიური რამ განმეორდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. მაშინ ქართველთა გათიშულობით კარგად ისარგებლა ე. წ. დემოკრატიულმა რუსეთმა და ჩვენს ქვეყანას აფხაზეთი წაგლიჯა, ხოლო 2008 წელს კრემლმა ცხინვალის რეგიონიც მითვისა. ზემოაღნიშნული საბედისწერო მაგალითები გვაფრთხილებს - გათიშულობა დაღუპავს საქართველოს და რაც ადრე გააცნობიერებენ ამას ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლები, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

უცხოეთი

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი მიიჩნევს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უკრაინაში ვერ მიაღწია დასახულ მიზნებს. ამის შესახებ მან დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. სტოლტენბერგის განმარტებით, რუსეთს მოკლევადიანი საომარი ოპერაცია ჰქონდა დაგეგმილი, რომელიც რუსეთის ძალიან ძვირად ღირებული ომი აღმოჩნდა - პუტინი იძულებული გახდა ჯარები კიევის მისადგომებიდან და ქვეყნის ჩრდილოეთიდან გაეყვანა. „იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებაში, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა ნატოს დეკემბერში გაუგზავნა და სურდა, ჩვენ ხელი მოგვეწერა, ნათლად იყო ნათქვამი: არანაირი შემდგომი გაფართოება ალიანსის, ახლა კი ის იღებს ნატოს წარმომადგენლობის გაფართოებას“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

* * *

მსოფლიოს ამჟამად ემუქრება ახალი ცივი ომი „ბირთვული ელფერით“, - ამის შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო

გუტერეშმა განაცხადა. მისივე თქმით, მსოფლიო მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა, რომელთა შორისაა კლიმატის ცვლილება, დაავადებების გავრცელება, შიმშილი, სოციალური უთანასწორობა და კონფლიქტი უკრაინაში. ჯერ კიდევ მარტის ბოლოს გუტერეში აცხადებდა, რომ უკრაინაში განვითარებული პროცესები მსოფლიოს გლობალურ შიმშილობას უქადდა. „სპეცოპერაციისა“ და რუსეთისთვის დაწესებული სანქციების შედეგებს შორის გუტერეში ფასების მკვეთრ ზრდას ასახელებდა.

* * *

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ტედროს ადჰანომ გებრეიესუსი ორგანიზაციის ხელმძღვანელად მეორე ვადით აირჩია. გადაწყვეტილება ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეამ ჟენევაში, რიგით 75-ე საგანგებო სესიაზე მიიღო. ახალი ვადის ათვლა 16 აგვისტოდან დაიწყება. გებრეიესუსი პოსტს 2017 წლიდან იკავებს. იგი აფრიკის რეგიონის პირველი წარმომადგენელია, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩიეს. ორგანიზაციის წესდების თანახმად, ჯანმოს ხელმძღვანელის ხელახლა არჩევა თანამდებობაზე მხოლოდ ერთხელ შეიძლება.

* * *

უნგრეთის პრეზიდენტმა ვიქტორ ორბანმა უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გამო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. გადაწყვეტილება, რომელსაც მხარი დაუჭირა უნგრეთის პარლამენტმა, 25 მაისიდან შევიდა ძალაში. ორბანმა განმარტა, რომ ხელისუფლებას სჭირდება „სივრცე მანევრირებისთვის“ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება სწრაფი რეაგირება შექმნილ გამოწვევებზე. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ ქვეყნის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს, ასევე, ლიეტუვამ და მოლდოვამ.

მოამზადა
ია შველიძემ

მირიან მეტრეველი: მშენებელი მიეჩვია ნებართვების გაცემის სიმარტივეს და ახალ წესებზე გადასვლა უძნელდება

სად აშენდება ცათამბჯენები ქალაქში?

*პოსტი, რომელიც **მირიან მეტრეველს** ბათუმის მერიაში უჭირავს - ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური - ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის. აქ გამოტანილი გადაწყვეტილებები ხშირად ხდება ბათუმელების განსჯის საგანი. ცხადია, ამ სამსახურის ხელმძღვანელობა საკმაოდ რთულია, ვინაიდან შედეგი დიდხანს არ წაიშლება ბათუმის ინფრასტრუქტურიდან, შესაბამისად, დაკისრებული პასუხისმგებლობაც დიდია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გამოტანის დროს. დღეს ბატონი მირიანი გაგვარკვევს, როგორ მიმდინარეობს ბათუმის ურბანული განვითარება და რა სირთულეებია ამ სფეროში.*

- ბატონო მირიან, ფაქტია, ბათუმი დღითი დღე იცვლება, ბევრი მოსაწონი პროექტი გაკეთდა, ზოგიც - საკამათო. როგორია ამჟამად ქალაქის განვითარების გეგმა?

- ბათუმის გენგეგმასთან დაკავშირებით გასულ წლებში დაიწყო მუშაობა. იყო ტექნიკური დავალება, რომელიც განსაზღვრავდა, როგორ უნდა გამოცხადებულიყო კონკურსი, რა პირობებით ეხელმძღვანელა გამარჯვებულ კომპანიას. კონკურსი შედგა და გაიმარჯვა კომპანიამ, რომელიც მუშაობს ბათუმის გენერალურ გეგმაზე. იგი მოიცავს სხვადასხვა დარგობრივ დოკუმენტს, დღევანდელი მდგომარეობით, ბათუმის მერიას ჩაბარებული აქვს მისი პირველი ეტაპი, რაც ითვალისწინებდა კვლევების შესრულებას, ანუ გარემოს შესწავლას და არსებული პრობლემების გამოვლენას. შემდეგ ეტაპზე ამ პრობლემების გათვალისწინებით გამარჯვებული კომპანია ჩამოაყალიბებს თავის ხედვებს, სამომავლოდ როგორ უნდა განვითარდეს ქალაქი. ზოგადად, ეს ეხება ბათუმის განვითარებას, როგორც ქალაქმშენებლობითი, ასევე ეკონომიკური კუთხითაც, ანუ გეგმაში ჩადებულია კვლევები, თუ როგორ უნდა გამოვლინდეს ეკონომიკის ახალი დარგები. მოგეხსენებათ, ბათუმი ზღვისპირა კურორტია, გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვნად ვითარდება ტურიზმიც, ასევე დიდი როლი ენიჭება მშენებლობას. ამასთან, მუშავდება, სხვა რა მიმართულება შეიძლება იყოს ასეთი წამყვანი და პერსპექტივის მქონე. უახლოესი ერთი წლის განმავლობაში გამოვლინდება კონკრეტული მიმართულებები, რაც საშუალებას მოგვცემს, მივყვეთ მათ და ისე განვითარდეს ქალაქი.

- ანუ დაზუსტდება ეს მიმართულებები, მაგრამ ზუსტად რომელი ვიცით?

- ძირითადი არის ტურიზმი, მაგრამ, ცხადია, გვაქვს სამშენებლო კუთხით აქტივობები, რასაც სჭირდება საკანონმდებლო ბაზა. ამ კუთხით ბევრი რამ შეიცვალა, რეგულაციებში მოექცა სამშენებლო მიმართულება. თუმცა ცალკეულ უბნებში არის რესურსები, რისი გამოყენებაც შეიძლება სწორი დაგეგმვის შემთხვევაში: ჯანსაღი გარემოს შექმნა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, ასევე ტურისტული და ნებისმიერი თვალსაზრისით, ანუ არის უბნები, სადაც მშენებლობის ინტენსივობა იმდენად მაღალია, რომ საჭიროა უკვე სხვანაირი ტიპის განვითარება - უფრო დაბალი ინტენსივობის შენობების აგება, ზოგიერთ უბანში ვხედავთ, რომ მშენებლობები ზღვრამდეა მისული და აქ შესაძლებელია უფრო განტვირთვის ობიექტების მოწყობა - დასასვენებელი და ა. შ. კვლევის ის ეტაპი, რომელიც გულისხმობს არსებული სიტუაციის შესწავლას, უკვე ჩატარდა, შემდგომ ეტაპზე კი კონკრეტული მიზნები დაისახება, რათა ბათუმში დღეს არსებული პრობლემები მოგვარდეს, ან უკეთესობისკენ შეიცვალოს. შეიძლება რაღაც პრობლემა მომავალში წამოიჭრას. აქედან გამომდინარე, ზოგადად, ასეთი სივრცითი საკითხები ჩადებულია ზემოთ აღნიშნულ საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომლითაც ხელმძღვანელობს გამარჯვებული კომპანია „სითი ინსტიტუტი საქართველო“. როგორც მისმა დირექტორმა მამუკა სალუქვაძემ განაცხადა, გენგეგმაში ჩადებულია მიმართულებები: „მედეგი, ინკლუზიური, მწვანე და უსაფრთხო ქალაქი“. კომპანიას ჰყავს მრავალდარგობრივი სპეციალისტების 40-კაციანი ჯგუფი, ასევე - ქვეკონტრაქტორები სხვადასხვა სფეროში, ვთქვათ, სატრანსპორტო კუთხით, ეკონომიკის, ტურიზმის, იგივე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ასე შემდეგ, რომლებიც მუშაობენ ამ მიმართულებებით. კომპანიასთან ერთად მუშაობენ ფრანგი და გერმანელი პარტნიორები, რომლებიც ეხმარებოდნენ თბილისისა და გორის გენგეგმის შემუშავების დროსაც.

- მოკლედ, ბათუმის განვითარებას, ძირითადად, ხედავთ გენერალურ გეგმაში, არა?

- ჩვენი სფეროები უფრო ესაა, ზოგადად სტრატეგია, უფრო დეტალურად ვერ ვისაუბრებ. გენგეგმა და სივრცითი მოწყობა, ძირითადად, ქალაქმშენებლობითი კუთხით წარმოუდგენიათ და რა თქმა უნდა, მოიცავს ამ ყველაფერს, მაგრამ დარგობრივად განვითარების გეგმაში შეიძლება ეკონომიკური განვითარებაც ვიგულისხმოთ, რაც სპეციფიკურია და ამაზე სხვა სპეციალისტებმა უნდა ისაუბრონ.

- რას უნდა ველოდოთ ახალს ბათუმის განაშენიანებაში და კონკრეტულად რა შენდება ახალი?

- ბათუმის განაშენიანებაში უნდა ველოდოთ ბევრად უფრო დაბალანსებულ მშენებლობებს, როგორც მოცულობით, ასევე ფუნქციური დატვირთვით და კანონმდებლობით დაშვებული კოეფიციენტის დაცვით. დღევანდელი კანონმდებლობა მიმართულია იმისკენ, რომ შენობა-ნაგებობების დაგეგმვა მოხდეს კვლევების საფუძველზე. ზოგადად, ნებისმიერი პროექტი რომ ჩვენს სამსახურთან შეთანხმდეს, ტარდება კვლევა, ხდება არსებული გარემოს შესწავლა მინიმუმ 50-მეტრიან რადიუსში ან კვარტალურად (თუ მასშტაბური მშენებლობაა), რაც მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურულ დონეზე შესწავლას (საინჟინრო ინფრასტრუქტურის), კომუნალური ქსელების, ისე გარემოსდაცვითი კუთხით შესწავლას. ამის საფუძველზე შემუშავდება პროექტი სართულიანობის, მოცულობის თვალსაზრისით. ადრე ასე არ იყო. 2020 წლიდან ამოქმედდა ახალი კანონი, თუმცა ამან გამოიწვია ის, რომ მშენებლები ვერ გადაერთნენ ახალ კანონმდებლობაზე, ამიტომ ახალი დიდი მოცულობის შენობები არც აგებულა.

- რატომ ვერ გადაერთნენ?

- ქართული პრობლემაა ეს - მშენებელი მიეჩვია ნებართვების გაცემის სიმარტივეს და ახალ წესებზე გადასვლა უძნელდება. 2006 წლიდან გამარტივდა ნებართვების გაცემის პროცედურა, არც კვლევა იყო საჭირო, არც ბევრი სხვა რამ, ანუ ბიუროკრატია თითქოს მოიხსნა, რათა ქვეყანა სანებართვო სიმარტივის რეიტინგებში, ასე ვთქვათ, მოწინავე პოზიციებზე დამდგარიყო.

- ამან ინვესტიციები მოიზიდა.

> *„ქალაქის განვითარების კონცეფცია როდესაც იქნება წარმოდგენილი, მაშინ შეიძლება მოხდეს ინტერესების გადაკვეთა მსხვილ კომპანიებთან, მაგრამ ეს ერთობლივი ჩართულობით უნდა დაბალანსდეს და საბოლოო შედეგამდე მივიდეს, რადგან მათი მოსაზრებებიც გასათვალისწინებელია. ბიზნესი მიდრეკილია უფრო მარტივ რეგულაციებზე, რათა განახორციელონ თავიანთი გეგმები*

- დიახ, სამშენებლო ბუმი გამოიწვია, ნებისმიერი პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი ჩაერთო მშენებლობაში, მაგრამ უარყოფითი მხარეც მოჰყვა.

- რაც გამოიხატა ქაოსურ მშენებლობებში.

- დიახ, ასევე მშენებლობის ხარისხზეც აისახა, არაკონკურენტული გარემო გამოიწვია, რადგან მყიდველი არ იყო მზად, დაფიქრებულიყო, 20 წლის შემდეგ როგორი იქნებოდა შეძენილი ბინა და მზად იყო, იაფად ეყიდა ისეთი, რომელსაც პრობლემები ექნებოდა ხარისხის თვალსაზრისით. გამარტივებულმა კანონმდებლობამ მოიზიდა ინვესტიციები, თუმცა ქალაქში გაჩნდა და მომრავლდა დაუგეგმარებელი მშენებლობები. ცხადია, წარმოიქმნა სამშენებლო კოდექსში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ნებართვის გაცემას საფუძვლად დაედო გარემოს კვლევა, რის საფუძველზეც უნდა დადგინდეს შენობის სიმაღლე, მოცულობა, სამეზობლო მიჯნაც, ადრე იგი არ იყო შეზღუდული, შეიძლებოდა, მაგალითად, სამეზობლოში ისე ჩადგმულიყო შენობა, რომ მას სხვა შენობის დაზიანება გამოეწვია. რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში ამაზე პასუხი მშენებელმა უნდა აგოს, მაგრამ სასამართლო დავები მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა, ამჟამად კი კოდექსში გაწერილია, რომ უნდა მოიკვლიო, შენობები როგორაა განთავსებული და შესაბამისად უნდა განათავსო ახალი ნაგებობა.

- ანუ, შეიძლება ვთქვათ, რომ აღარ აშენდება შეუსაბამო შენობები ქალაქის ვიწრო ქუჩებში, აღარ ჩაბნელდება მეზობელი სახლების ფანჯრები და ამ მხრივ აღარ გართულდება ზოგიერთების ცხოვრება?

- კი, ბატონო, თუმცა ხარვეზები ნებისმიერ კანონმდებლობას აქვს და, ზოგადად, ქართულ სინამდვილეში იგივე მიწები, ანუ საკუთრებები არ არის ისე ჰარმონიულად გადანაწილებული ქალაქში, რომ იდეალურ გეგმარებას ხელს უწყობდეს - შეჭრილ-შემოჭრილი მიწის ნაკვეთებია, ზოგი 90-იან წლებში, ზოგიც შემდეგ როგორც შემოხაზ-შემოღობეს, ისე დარჩა, ამის რეფორმა არ ჩატარებულა, რათა მომხდარიყო ზუსტად კვარტალური დაგეგმარებები. ასევე, ქალაქს შემოუერთდა სოფლის ტიპის დასახლებები. კანონმდებლობა ყველაფერს ვერ მოერგება, რადგან ევროპულ გამოცდილებას ეფუძნება.

- და მაინც, აქაურ სინამდვილესაც რომ მოვარგოთ, ხომ შეიძლება?

- უნდა მოერგოს, რა თქმა უნდა, მაგრამ რაღაც დეტალებით უკმაყოფილო ადამიანები შეიძლება მაინც დარჩნენ, ისე ვერ აშენდეს, რომ ყველა კმაყოფილი იყოს, მაგრამ, 90 პროცენტი მაინც იქნება კმაყოფილი.

- კანონმდებლობაში ცვლილებები კარგია ქალაქის უკეთ დაგეგმარებისთვის, მაგრამ მომგებიანი არ არის მშენებლისთვის, ყოველ შემთხვევაში ქართველისთვის?

- არ არის, რადგან იგივე K კოეფიციენტთან დაკავშირებით, ინვესტორს ადრე შეეძლო კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე, სადაც დადგენილია დაბალი კოეფიციენტი, თავისი საინვესტიციო დასაბუთებით მოეთხოვა სამჯერ მეტი კოეფიციენტი, ანუ შესაბამისად სამჯერ მეტი მოცულობის შენობა. დღეს ეს ასე მარტივი არაა. თეორიულად დაშვებულია კოეფიციენტის გაზრდა, მაგრამ უნდა ჩატარდეს კვარტალური კვლევები, ანუ რა რესურსი აქვს კვარტალს სატრანსპორტო, საინჟინრო კომუნიკაციების და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. ამ კვლევებმა ხშირ შემთხვევაში შეიძლება მშენებელი შეზღუდოს, ამიტომ ვერ აყვა ახალ კანონმდებლობას, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მომრავლდა კოტეჯების, სამსართულიანი დასასვენებელი სახლების, ვილების მშენებლობა შესაბამის ტერიტორიებზე, ანუ დაბალი ინტენსივობის მშენებლობა უფრო წახალისდა, ასე ვთქვათ.

- ამის თქმა მინდოდა, ხომ შეიძლება, ახალი შენობები აშენდეს არა შუა ქალაქში, როგორც ამას ყველა ესწრაფვის, რადგან უფრო მომგებიანად ითვლება, არამედ შემოგარენში, აითვისონ თავისუფალი ტერიტორიები?

- დღეს ძირითადად, გვაქვს საშუალო და დაბალი ინტენსივობის მშენებლობები. მართალია, ვიღაცას დაბალი შენობა მოსწონს, ვიღაცას - მაღალი, ზოგს ცათამბჯენი უნდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მანჰეტენის სტილში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გენგეგმა გეუბნება, რომ ამ ქალაქს აქვს ამის რესურსი, თავისთავად აქ მოსახლეობის ჩართულობაც იქნება.

- ანუ ქალაქის ცენტრში კვლავ შეიძლება აშენდეს ცათამბჯენები? ბათუმის გენერალური გეგმის ამოქმედებას ყველა ელოდება და გამადიდებელი მინით დააკვირდება, ხელისშემშლელი ფაქტორები ხომ არ არსებობს?

- გენგეგმა იმისთვის არ კეთდება, რომ თაროზე შემოიდოს. ის უნდა გახდეს სახელმძღვანელო დოკუმენტი და ეს გააზრებული აქვს მუნიციპალიტეტს, აქედან გამომდინარე, მის ვადებს და შესრულების ხარისხს დაიცავს. ამ ეტაპზე ჯერ ეს პრობლემა არ დამდგარა, ანუ ქალაქის განვითარების კონცეფცია როდესაც იქნება წარმოდგენილი, მაშინ შეიძლება მოხდეს ინტერესების გადაკვეთა მსხვილ კომპანიებთან, მაგრამ ეს ერთობლივი ჩართულობით უნდა დაბალანსდეს და საბოლოო შედეგამდე მივიდეს, რადგან მათი მოსაზრებებიც გასათვალისწინებელია. ბიზნესი მიდრეკილია უფრო მარტივ რეგულაციებზე, რათა განახორციელონ თავიანთი გეგმები. აუცილებლად იქნება ადგილები, სადაც მაღალი შენობები უნდა აშენდეს, მაგრამ მე, მოქალაქემ, უნდა ვიცოდე, რომელ უბანში წავიდე, თუ დაბალი ინტენსივობის წყნარ უბანში მინდა ცხოვრება და სად წავიდე, თუ მაღალი ინტენსივობის უბანში მინდა ვიცხოვრო. თუ მუნიციპალიტეტი ვერ მიპასუხებს ამაზე, ეს იქნება არასწორი. მიწას თუ ვიყიდი, ავიშენებ სამსართულიან სახლს, ხვალ კი ნებართვას გასცემენ და გვერდით 20-სართულიან კორპუსს ამიშენებენ, ეს არასწორი იქნება. გენგეგმამ უნდა დაარეგულიროს მსგავსი ზონირება, თუმცა ეს უნდა იყოს შესრულებადი. უნდა არსებობდეს ადგილები როგორც მაღალი, ისე დაბალი ინტენსივობის მშენებლობისთვის.

- უკვე დარღვევებით აშენებულს რა ეშველება?

- როდესაც ქალაქი ასე ვითარდება ნებისმიერი კუთხით, შესაძლებელია მოძველებული შენობის დემონტაჟი და ახალი მიმართულებების განხორციელება.

- ძველ ბათუმს თუ ელოდება რაიმე ცვლილება?

- ის ისეთი ზონაა, სადაც არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონცენტრაცია, განსაზღვრულია შენობის მაქსიმალური სიმაღლე (15 მეტრი) და ნებისმიერი პროექტი, რომელიც შემოდის ბათუმის მერიაში, განსახილველად იგზავნება კულტურული მემკვიდრეობის საბჭოზე, ანუ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო ჩართულია ამ პროექტების განხილვაში. აქ რაიმე ტიპის გამარტივება არ იგეგმება. ზოგადად, ძეგლების რეაბილიტაციაზე იხარჯება თანხები, უარესობისკენ არაფერი იგეგმება - პირიქით.

- რამდენად ხშირია უკანონო მშენებლობები, რა პრობლემებს გიქმნით და როგორ ებრძვის მას მერია?

- უკანონო მშენებლობების პრობლემა რომ არის ქალაქში, ამას ვერ უარვყოფთ, თუმცა საკანონმდებლო ბაზა რის საშუალებასაც იძლევა, იმის მიხედვით ხდება გამოვლენა და წარმოების დაწყება. სამწუხაროდ, საკანონმდებლო ბაზა არ იძლევა პირდაპირ დემონტაჟის შესაძლებლობას. ჯერ უნდა იყოს გაფრთხილება, შემდეგ - დაჯარიმება, შემდეგ სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს. ეს უფრო სხვა სამსახურის პრეროგატივაა, მაგრამ, ზოგადად, ვამბობ. ამ შემთხვევაშიც გასამკაცრებელია კანონმდებლობა, რათა მოქალაქეს არ ჰქონდეს იმის განცდა, რომ რაღაცას უკანონოდ ააშენებს და მერე დროში გაიწელება მისი დემონტაჟი, თუმცა ჯარიმები გაორმაგებულია, ყოველ შემთხვევაში, ბევრად მეტია, ვიდრე 2020 წლამდე.

- შეზღუდვების გამკაცრებასთან ერთად, ალბათ, ნებართვების გაცემაც შემცირდა...

- ნებართვების გაცემა იმიტომ შემცირდა, რომ, ვთქვათ, 24 მეტრზე მაღალი კორპუსის აშენებას ისეთი კვლევები სჭირდება, რომ დღეს მაგის რესურსები ან ხალისი ბევრს არ აქვს.

- რას ეტყვით იმათ, რომლებსაც შეუძლიათ ინვესტიციების ჩადება აჭარაში, რა პერსპექტივები აქვთ და რატომ უნდა დაბანდონ ფული უძრავ ქონებაში?

- დღევანდელი კანონმდებლობა აძლევს გარანტიას როგორც მშენებელს, ასევე უძრავი ქონების მყიდველს, რომ ააშენებენ ან შეიძენენ ბინას დაგეგმარებულ უბნებში, სადაც წინასწარ იქნება განსაზღვრული, რისი მშენებლობა შეიძლება დაიგეგმოს მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზეც, აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო დაცული იქნება მათი საცხოვრებელი გარემო, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რაც ისედაც არსებობს - ზღვისა და მთის ლანდშაფტის არაჩვეულებრივი შერწყმა.

მარინა მითაიშვილი

რა უნდა ვიცოდეთ „მაიმუნის ყვავილზე“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

იშვიათი ვირუსი, რომელსაც „მაიმუნის ყვავილის“ სახელით ვიცნობთ, ძირითადად ცენტრალურ და დასავლეთ აფრიკაში გვხვდება. ბოლო დღეებში ის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც გავრცელდა. დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპული ცენტრის თანახმად, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ევროპაში გადაცემის ჯაჭვი დასავლეთ ან ცენტრალურ აფრიკასთან კავშირის გარეშე დაფიქსირდა. კორონავირუსისგან დაღლილ სამყაროში კი შიშის ახალი ტალღა დაიწყო, თუმცა რამდენიმე მიზეზის გამო, ამ ვირუსს ისეთივე შეშფოთებით არ მკურნალობენ, როგორც კოვიდს, „მაიმუნის ყვავილი“ 1958 წელს აღმოაჩინეს მაიმუნებში, რომლებსაც სპეციალური კვლევები უტარდებოდათ.

ამ თემაზე უფრო დეტალურად ინფექციონისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მაია ბუწაშვილი გვესაუბრება

- „მაიმუნის ყვავილთან“ დაკავშირებით საზოგადოებაში ბევრი კითხვაა. ეს არ არის ახალი ინფექცია, ადრეც იყო, თუმცა დაავადება იშვიათია. შემთხვევები ან აფრიკის ქვეყნებში რეგისტრირდებოდა, ან ერთეული შემთხვევები აფრიკის კონტინენტის გარეთ, რაც ყოველთვის უკავშირდებოდა აფრიკაში მოგზაურობას ან იმპორტირებულ ცხოველებს. რაც შეეხება ამჟამინდელ აფეთქებას, რომელიც დაიწყო 13 მაისიდან, რეგისტრირდება ევროპაში, აშშ-ში და კანადაში და არ უკავშირდება აფრიკას. დღემდე დაფიქსირებულია 92 დადასტურებული და 28 საეჭვო შემთხვევა 12 ქვეყანაში (ევროპის ქვეყნები, აშშ, კანადა). აფრიკის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია კონგოში (1 იანვრიდან 1 მაისამდე 1238 შემთხვევა).

- ვრცელდება თუ არა ინფორმაცია ლეტალური შემთხვევების შესახებ?

- დღეისათვის - არა, თუმცა ზოგადად, დაავადების ლეტალობის მაჩვენებელი ერთ-ერთი შტამისთვის არის 3.6%, ხოლო მეორის - 10.6%. დაავადება შედარებით მძიმედ მიმდინარეობს ბავშვებში, ორსულებში და იმუნოსუპრესირებულ პირებში. სიმპტომები ჰგავს ყვავილისას, თუმცა უფრო მსუბუქად მიმდინარეობს. დასაწყისში ახასიათებს გრიპისმაგვარი სიმპტომები: ცხელება, შემცივნება, თავის და კუნთების ტკივილი, ლიმფური კვანძების გადიდება. 1-3 დღეში ვითარდება გამონაყარი, რომელიც იწყება სახიდან და ვრცელდება სხეულის სხვა ნაწილებზეც, მათ შორის ხელის და ფეხისგულებზეც. გამონაყარი ჯერ კვანძოვანია, შემდეგ ხდება ბუშტუკოვანი, მღვრიე შიგთავსით. რამდენიმე დღეში ვითარდება ფუფხები და ცვივა.

- როგორ ხდება დაავადების გადაცემა?

- გადაცემა სიმპტომური ადამიანიდან ხდება წვეთების და სხვადასხვა ბიოლოგიურ სითხესთან მჭიდრო კონტაქტის გზით. ინკუბაციური პერიოდია 6-13 დღე (შეიძლება 21 დღემდეც). დიაგნოსტიკა ხდება „პისიარ“ მეთოდით. გადამტანად გვევლინება მღრღნელები და პრიმატები. აქვე აღვნიშნავ - დაავადება პირველად 1958 წელს აღმოაჩინეს მაიმუნებში და სახელწოდებაც აქედან მოდის, 1970 წელს კი კონგოში პირველად გამოუვლინდა ადამიანს.

- საზოგადოებაში ვრცელდება აზრი, რომ ჩუტყვავილას ვაქცინა „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსისგან გვიცავს...

- მინდა განვმარტო, რომ ამ დაავადებას არაფერი აქვს საერთო ჩუტყვავილასთან, ამიტომ ჩუტყვავილას ვაქცინა ამ ვირუსისგან ვერ დაგვიცავს. ეს ორი, სრულიად სხვადასხვა ჯგუფის ვირუსია. ლაპარაკია არა ჩუტყვავილას, არამედ ყვავილის ვაქცინაზე, რომელიც 80-იან წლებამდე კეთდებოდა და შემდეგ ყვავილის ერადიკაციასთან დაკავშირებით მისი გამოყენება აღარ ხდება. ეს გაუგებრობა გამოიწვია ინგლისური ტერმინების - chickenpox (ჩუტყვავილა) და smallpox (ყვავილი) მსგავსებამ.

- ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვებში ახალი, გაურკვეველი წარმოშობის მწვავე ჰეპატიტის შემთხვევებს, რომელიც დაფიქსირდა აშშ-ში და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში. ამაზე რას გვეტყვით?

- მწვავე ჰეპატიტის შემთხვევათა რაოდენობა უკვე რამდენიმე ასეულს აღწევს. ასაკი 1-დან 16 წლამდე მერყეობს. სიმპტომები, ჩვეულებრივ, მწვავე ჰეპატიტისთვის დამახასიათებელია: კანის და თვალის სკლერების სიყვითლე, ღვიძლის ფუნქციების მკვეთრი მომატება... ტემპერატურა, როგორც წესი, ნორმალურია. შემთხვევათა 90%-ზე მეტს სჭირდება ჰოსპიტალიზაცია. 10%-ზე მეტ შემთხვევებში დაავადება მძიმედ მიმდინარეობს და საჭირო ხდება ღვიძლის გადანერგვა.

ნაწილი განკურნებით მთავრდება. ჰეპატიტის მქონე ბავშვებში არ დასტურდება აქამდე ცნობილი არც ერთი ჰეპატიტის ვირუსი (A,B,C,D,E). დიდ ნაწილში გამოვლინდა ადენოვირუსის ერთ-ერთი ტიპი (ტიპი 41), ხოლო გარკვეულ ნაწილს დაესვა კოვიდის დიაგნოზი, ან ჰქონდათ ახლად გადატანილი კოვიდი. ზოგიერთს ერთდროულად აღენიშნებოდა ადენოვირუსული ინფექცია და კოვიდი. არსებობს მოსაზრება, რომ ჰეპატიტის ეს ახალი ფორმა, შესაძლოა, ბავშვებში კოვიდის აქამდე ცნობილი ერთ-ერთი გართულების, მულტისისტემური ანთებითი სინდრომის გამოვლინება იყოს. მოკლედ, ჯერჯერობით, ამ შემთხვევებთან დაკავშირებით, ბევრი რამ უცნობია. მშობლებს აფრთხილებენ, რომ ყურადღებით იყვნენ და არ გამორჩეთ ბავშვებში სიყვითლის გამოვლინება, დროულად მიმართონ ექიმს.

> *„გადაცემა სიმპტომური ადამიანიდან ხდება წვეთების და სხვადასხვა ბიოლოგიურ სითხესთან მჭიდრო კონტაქტის გზით. ინკუბაციური პერიოდია 6-13 დღე (შეიძლება 21 დღემდეც). დიაგნოსტიკა ხდება „პისიარ“ მეთოდით. გადამტანად გვევლინება მღრღნელები და პრიმატები. აქვე აღვნიშნავ - დაავადება პირველად 1958 წელს აღმოაჩინეს მაიმუნებში და სახელწოდებაც აქედან მოდის, 1970 წელს კი კონგოში პირველად გამოუვლინდა ადამიანს.*

მინდა შევეხო „გაცივების“ თემასაც. ადამიანები უამრავ ინფექციურ დაავადებას უკავშირებენ გაცივებას, მაგალითად, არაერთხელ გაგვიგია: „სველი თმით არ გახვიდე, მენინგიტი დაგემართება“, „ორპირ ქარში ნუ ხარ, მენინგიტი დაგემართება“, „გავცივდი და შარდის ბუშტის ანთება დამემართა“... „ვირუსი არ მაქვს, გაციებული ვარ და იმიტომ მახველებს (ან სურდო მაქვს)“ და ა.შ. სინამდვილეში, ეს ყველაფერი, ძირითადად, ინფექციურ დაავადებებს უკავშირდება. რაც შეეხება „საკვერცხის ანთებას“, როგორც წესი, ტკივილი დაკავშირებულია მცირე მენჯის ღრუს ანთებით დაავადებებთან, საკვერცხის კისტასთან, მენსტრუალურ ტკივილთან და ა.შ. და „ფეხების გაციება“, ან ცივ ქვაზე ჯდომა არაფერ შუაშია. შარდის ბუშტის ანთება კი ჩვეულებრივი ინფექციური დაავადებაა. ცივ ამინდში გახშირებული შარდვა ჩვეულებრივი ამბავია. ეს ორგანიზმის გარკვეული დამცველობითი რეაქციაა. აქვე ვიტყვი, წყლის სმა ცივ ამინდშიც მნიშვნელოვანია და არა მხოლოდ ზაფხულში. მენინგიტს იწვევს სხვადასხვა ვირუსი, ბაქტერია ან პარაზიტი. ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, მენინგოკოკი), შეიძლება გადამდები იყოს და ამას ორპირ ქართან, სველ თმასთან ან კონდიციონერთან საერთო არაფერი აქვს. რაც შეეხება სასუნთქი გზების სიმპტომებს, ანუ რასაც ხალხი „გაციებას“ უწოდებს, ესეც, როგორც წესი, ვირუსულ ინფექციებთან არის დაკავშირებული და ადამიანი ამ დროს გადამდებია. ყველაზე ხშირად „გაციებას“ რინოვირუსები და ადენოვირუსები იწვევს. მოკლედ, ტერმინებს დიდი მნიშვნელობა მართლაც არ აქვს, უბრალოდ, ეს ყველაფერი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ თუ ჩვენი ავადმყოფობის მიზეზს სწორად არ შევაფასებთ, ვერც სწორი მიმართულებით პროფილაქტიკას და მკურნალობას მივმართავთ.

„მიხარია, რომ ჩვენი ქალბატონები აქცევენ ყურადღებას თავს, ცდილობენ, არ ჩამორჩნენ დროს“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სასიამოვნო გამოწვევაა იყო ექიმი, ემსახურებოდე სილამაზესა და ესთეტიკას, წვლილი შეგქონდეს იმაში, რომ ადამიანებმა უფრო მიმზიდველებად, ბედნიერად და კომფორტულად იგრძნონ თავი, - ასე მიიჩნევს გაზეთ „აჭარის“ სტუმარი, „ლაზერ მედის“ წამყვანი ახალგაზრდა ექიმი-დერმატოლოგი ***თამთა შავიძე****, რომლისთვისაც უდიდესი მოტივაციაა იყოს თავისი ოჯახის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, ყოველდღიურად, დაუღალავად შრომობდეს იმისათვის, რომ სრულიად განსხვავებული მიდგომით, ახალ სიმაღლეებზე აიყვანოს ესთეტიკის სფერო.*

- რას ნიშნავს თქვენთვს იყოთ ექიმი, კონკრეტულად კი დერმატო-კოსმეტოლოგი?

- იყო ექიმი, გეცვას თეთრი ხალათი, ჩემთვის წოდება, უდიდესი პასუხისმგებლობა და ნდობის გამოცხადებაა. ესთეტიკა ჩემთვის ცხოვრების საწყისი ეტაპია, საიდანაც იწყება აღქმა ბედნიერების, სრულყოფილების და თავდაჯერებულობის. არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე ემსახურებოდე სილამაზეს და ესთეტიკას. იმის ნიჭიც უნდა გიბოძოს ღმერთმა, რომ აღიქვა თითეული ნაკვთი, შეისწავლო პაციენტის სურვილი, გაიაზრო მისი თვალით აღქმული სილამაზე, გადაკვეთო შენი მოსაზრება და ერთად შეჯერებული ჩანაფიქრი მოიყვანო სისრულეში, სრულიად მოერგო პაციენტის სურვილებს.

- კლინიკის წამყვანი ექიმი ხართ, აგრძელებთ საკუთარი ოჯახის ტრადიციას...

- ექიმობა ოჯახური ტრადიციაა. კლინიკა „ლაზერ მედის“ ბრენდის მიღმა დგას დიდი ოჯახის ერთობლივი ძალა, მოტივაცია და უწყვეტი შრომა, რომელმაც გამოიღო ხარისხიანი ნაყოფი - წარმატება. როგორც ოჯახის ტრადიციის ერთ-ერთი გამგრძელებელი, მაქსიმალურად ვეცდები, არა მარტო შევუნარჩუნო კლინიკას წარმატება, არამედ, სრულიად განსხვავებული მიდგომით, ახალ სიმაღლეებზე ავიყვანოთ ესთეტიკის სფერო.

- ფეხი აუწყო თანამედროვე ტექნოლოგიებს ისეთ კონკურენტუნარიან სფეროში, როგორშიც საქმიანობთ, დამეთანხმებით, საკმაოდ რთულია...

- დიახ, რთულია, თუმცა გახსნის დღიდან „ლაზერ მედი“ განსაკუთრებით ზრუნავს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაზე, გამოყენებული პრეპარატებისა და სახარჯი მასალის ხარისხზე, რაც თავისთავად აისახება კლინიკის წარმატებაზე. მთელი გუნდი დაუღალავად ვშრომობთ იმისათვის, რომ ხარისხი არ დავწიოთ დაბლა, მოვერგოთ ყველა იმ მოთხოვნას, რაც საზოგადოებას აქვს.

- რა განაპირობებს ნდობას?

- გულწრფელობა. ხშირად ექიმსა და პაციენტს შორის პირადი ნდობა და კომუნიკაცია ბევრად მეტი სიკეთის მომტანია, ვიდრე მედიცინის ყველა მიღწევა ერთად აღებული. პაციენტისთვის ექიმის პიროვნული ღირსებები პროფესიონალიზმზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

- რაში მდგომარეობს სილამაზის თქვენეული ფორმულა?

- „სილამაზის ფორმულა“ არ არსებობს, უბრალოდ, თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ის თქვენი თავისათვის, რაშიც დაგეხმარებით ჩვენ. თუ მკითხავთ, შესაძლებელია თუ არა, ყველა ჩვენგანმა მიაღწიოს ამ „ოქროს სტანდარტს“ მაშინაც კი, თუ სამყარომ, ჩვენი გადმოსახედით, სათანადო ბუნებრივი სილამაზე

არ გვიბოძა, ჩემი პასუხი იქნება - დიახ, რა თქმა უნდა. გიყვარდეთ საკუთარი თავი, იყავით ჰარმონიაში თავთან და გქონდეთ ამაღლებული გუნება-განწყობა, რაც ყოველთვის აისახება თქვენს გარეგნობაზე.

- როგორც დერმატო-კოსმეტოლოგი, რას ურჩევთ ადამიანებს, რომლებსაც სურთ მათი სახის კანი მუდმივად ლამაზი და ჯანმრთელი იყოს?

- მნიშვნელოვანია ექიმ დერმატო-კოსმეტოლოგთან კონსულტაცია და საკუთარი კანის ტიპის დადგენა, მისი სპეციფიკურობის განსაზღვრა და მუდმივი კონტროლი. საზოგადოებაში გავრცელებული უამრავი მითი, რაც სახის კანის მოვლასა და დერმატო-კოსმეტოლოგის ჩარევასთან არის დაკავშირებული, უმჯობესია ექიმთან შეათანხმოთ. სტანდარტების მიხედვით, 25 წლიდან იწყება კანის ბიოლოგიური დაბერების პროცესი, ამიტომ არ უნდა დაველოდოთ 40-45 წლის ასაკს ინიექციური კოსმეტოლოგიის ჩართვისთვის, რაც ხშირად დაგვიანებულია და მძიმე, აგრესიულ პროცედურებს საჭიროებს. რაც შეეხება იმას, თუ როგორია სილამაზის სფეროს ტენდენციები, შეიძლება ითქვას, ის ყოველდღიურად იცვლება, რამდენიმე წლის წინ თუ აქტუალური იყო ტუჩის მოცულობის გაზრდა, ან თუნდაც კეხის ჩასწორება ბუნებრივი შემავსებლებით, ახლა მოდაშია და ბუნებრივად აღიქმება ოდნავ კეხიანი და დაწეულნესტოებიანი ცხვირი, თხელი ტუჩი. თუმცა, მეთოდი მეთოდს ანაცვლებს როგორც ტექნოლოგიურად, ასევე ინოვაციურად. დღესდღეობით აქტუალურია მეზოძაფებით სახის მოდელირება. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქალბატონები ძალიან გაცნობიერებულნი არიან ესთეტიკურ კოსმეტოლოგიაში, რასაც მივესალმები და მოხარული ვარ. მომწონს, რომ აქცევენ თავს ყურადღებას, ცდილობენ იყვნენ სასურველი და არ ჩამორჩნენ დროს.

- ექიმისთვის რა არის მნიშვნელოვანი...

- მუდმივად ტონუსში ყოფნა, სიახლეების, ტექნოლოგიების, თანამედროვე გამოწვევების ცოდნა. დერმატო-კოსმეტოლოგია ამოუწურავი და მუდმივად განახლებადი სფეროა, სადაც ყველაზე აღმატებული - ექიმის წოდება არ გაძლევს მოდუნების უფლებას.

ძლიერი ოჯახი – ძლიერი ქვეყანა

125 წლის წინ იუნუს ბერიძემ თავის სახლში საპატიო სტუმარს, ცნობილ ეთნოგრაფსა და მწერალს თედო სახოკიას უმასპინძლა. ინუს ბერიძე ისე წავიდა წუთისოფლიდან, რომ მასთან ურთიერთობები არ გაუწყვეტია. მამის გზა და სტუმარმასპინძლობის ტრადიცია შვილმა - ლევანმა გააგრძელა. მას საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა თედო სახოკიას შთამომავლებთან

70 წელს მიტანებული ამირანი ამაყობს ბაბუით, იმითაც, რომ 8 ვაჟისა და 3 ქალიშვილის გამზრდელი მამა, 1952 წელს შუახევის რაიონის პირველმშენებელთა რიგებში იდგა. იგი 7 წლის განმავლობაში შუახევის რაიონის განათლების განყოფილების ხელმძღვანელი იყო. ამ დროს 20-ზე მეტ სოფელში დაწყებითი სკოლები 8-წლიანად გადაკეთდა. უჩამბის შემდეგ, საშუალო სკოლები გაიხსნა ოლადაურში, შუახევში, ჭვანაში, ბარათაულში, დღვანში, ფურტიოში...

ამირან ბერიძე *ჩვენი სტუმარია.*

- მამამ 60 წელი იცოცხლა. მშობლიური სოფლის საშუალო სკოლას 17 წელი ედგა სათავეში. 11-ივე შვილს დიდი ამაგი დაგვდო. თაობების აღმზრდელი, შვილებს ადამიანების მოსიყვარულეებად გვზრდიდა. ედნარი, ბიჭიკო და შაქრო ჟანივრის, კარაპეტის, ფურტიოს სკოლების დირექტორები იყვნენ. ზურაბი შუახევში პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც ეკონომიკის დარგში სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. სპეციალობით ისტორიკოსი ვარ, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელს“ ეთერი შვილსა და მეუღლე ზურაბ მელიქიშვილთან ერთად უძღვება. ნაბოლარა და ექიმია. 1989 წლის 29 მაისს სხალთის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იმყოფებოდა. უფროსი ძმა ედნარი უწმინდესს შეხვდა და ჩვენი დიდი ოჯახის, მშობლების, და-ძმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მაშინ უწმინდესმა საკუთარი ხელწერით ედნარს „ბიბლია“ უსახსოვრა.

- აჭარის მთიანეთში ლაზური სტილის სახლები იშვიათობაა. საუკუნეზე მეტი ხნის შენობას მზრუნველი ხელი ატყვია.

- ეზოში უზარმაზარი კაკლის ხე რომ დგას, ის და სახლი თანატოლები არიან. ბაბუას 14 ოსტატი ჰყოლია ლაზეთიდან მოწვეული მის ასაშენებლად. ჩარჩოებში ჩასმული ქვები დნება, ფორმას კარგავს. რესტავრაცია წამოვიწყე. ვცდილობ, ყველაფერს ადრინდელი იერი შევუნარჩუნო. ჩვენი სახლი უცხოეთში გამოცემულ ენციკლოპედიებშია შეტანილი. წლების განმავლობაში მეშვიდე საგზაო უბნის ოსტატი, შემდეგ კომპანია „ზიმო-7“-ის მეწილე ვიყავი. არც მაშინ და არც შემდეგ სახლის მოვლაზე ხელი არ ამიღია. ეზოს „ჩანდლერის“ ჯიშის კაკლის ნერგები შევმატე. მამის დანატოვარ სახლს დამატებითი სათავსოებიც შეერწყა. მეგობრებთან ერთად, ფუტკარი მოვაშენე, იმრავლა ფუტკარმა და მათმა ზუზუნმა მიყრუებული ეზოც გააცოცხლა.

- ოჯახზე რას გვეტყვით?

- ორი ვაჟისა და ქალიშვილის მამა ვარ. ლევანი და ჯემალი მინდობილი საქმის ერთგულები არიან. ერთ ხანს ლევანი სამთო- სათხილამურო კურორტ გოდერძიზე სასტუმროს მშენებლობით იყო დაკავებული. კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. ბათუმში არსებულ სარიტუალო დარბაზსა და კომერციულ ობიექტებს მეუღლე - ჟუჟუნა შაინიძე განაგებს. პანდემიისას გარკვეული შეფერხება გვქონდა, მაგრამ, უფლის ნებით, საქმე თანდათან აეწყო.

- ფურტიოს საჯარო სკოლა ლევან ბერიძის სახელს ატარებს. მამის როლისა და ავტორიტეტის წარმოჩენა შვილებთან ერთად ვინ ითავა?

- დასამალი არაფერია - შვილებს, მამის მეგობრებსა და ახლობლებს გვსურდა, ფურტიოს სკოლას ლევან ბერიძის სახელი მიკუთვნებოდა. კეთილ წამოწყებას ადგილობრივ თვითმმართველობასა და აჭარის მთავრობაში მხარდამჭერები გამოუჩნდნენ. დიდი იყო თანასოფლელების თანადგომაც. ახლა სოფლის ცენტრში რომ გავივლი და თვალს შევავლებ აბრას, სიამაყით ვივსები - ეს მამის უკვდავყოფის სიმბოლოა.

- სოფელზე რას გვეტყვით?

- შუახევის მუნიციპალიტეტის წინა მოწვევის საკრებულოში ზამლეთის თემის ამომრჩევლებმა თავიანთ წარმომადგენლად ამირჩიეს. ერთად ვიზეიმეთ „ზამლეთობა“, ფურტიოელ პედაგოგებსა და მათ აღმზრდელებს სკოლის ახალი შენობა, საბავშვო ბაღის პერსონალს - ახალმოსახლეობა, თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი შენობა, რაგბის სტადიონის კეთილმოწყობა, სოფლის ცენტრის გალამაზება მივულოცეთ. ფურტიო შუახევში პირველი სოფელია, სადაც მოასფალტებული გზა შემოვიდა. გამართიდან სასმელი წყალი გამოვიყვანეთ, რომლითაც 20-მდე ოჯახი ახლაც სარგებლობს. 5,1 მილიონი ლარი მოხმარდა სოფელ რაქვთიდან სასმელი და სარწყავი წყლის ლითონის მილებით გამოყვანას, რომლითაც ფურტიოს, ბუთურაულის და ნენიის მოსახლეობა მარაგდება. ზამლეთის თემი 4 სოფელს აერთიანებს. მოასფალტებული გზები შევიდა ნენიაში, ბუთურაულში, ნიგაზეულში. წელს სოფელ ნენიაში ცენტრის კეთილმოწყობასა და სასკოლო სტადიონის მშენებლობაზე საკმაო თანხებია მობილიზებული. დაწყებულია ფურტიოს თაღოვანი ხიდის, ნიგაზეულის ციხის, ბუთურაულის, მელიქწმინდის ეკლესიების მოვლა-შენახვის სამუშაოები.

- ძლიერი ოჯახი ძლიერი ქვეყანაა. მზრუნველი პატრონის ხელი ყველაფერს ემჩნევა...

- წინაპრების სულები არ მაპატიებს, აქაურობა რომ მივატოვო. ჩვენი ადრინდელი სამოსახლო სოფლის ცენტრში ყოფილა. აქ უკაცრიელი, დაუსახლებელი ტერიტორია იყო. ბაბუა მიწის მეპატრონეებს გაურიგდა და სამოსახლო აქ მოვიწყვეთ. მას 4 ვაჟი და 4 ქალიშვილი ჰყავდა. ახლა ეს უბანი ჩემი ახლობლებითაა დასახლებული. წლევანდელი ზამთარი სუსხიანი, უხვთოვლიანი იყო. მადლობა იმ სამსახურებს, რომლებიც გზებს პატრონობენ - ყოველი კვირის ბოლოს ქალაქიდან შეუფერხებლად ჩამოვდიოდი. ფუტკარი გადავარჩინე, ხეხილსაც ვუპატრონე და სახლის რემონტზე დასაქმებულებსაც ხელი წავახმარე. ქვეყანაში და მათ შორის, ჩვენს რეგიონში, ტურიზმი ვითარდება. სახლი, რომელიც 125 წელს ითვლის და უძველესი არქიტექტურის ნიმუშად ითვლება, ტურისტებს მოიზიდავს. შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები უბანში შემოსასვლელი გზის მოწესრიგებას გვპირდებიან. ცნობილი ეთნომუსიკოლოგი ნინო რაზმაძე ჩვენს ეზოში „ხერტლის ნადურის“ ჩაწერას აპირებს. მასაც და ყველა ძვირფას სტუმარს მოფერებას არ ვაკლებ. ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ცნობილი მწერლები, მეცნიერები, სახელმწიფო მოხელეები გვსტუმრობდნენ. ამ ტრადიციას მე, ეთერი, ზურაბი, ჩემი შვილები მადონა, ლევანი, ჯემალი, მეუღლე ჟუჟუნა ვაგრძელებთ. სოფლის ცენტრში არსებულ სასაფლაოზე საპატიო ადგილი მივუჩინე ჩვენს წინაპარ ინჯა ყადს (მოსამართლეს), მისი სამუდამო განსასვენებელი მე მოვაწყვე. ჩვენი ახლობელი იყო ოლადაურში გადასული ნური ბერიძე, ცნობილი მეცნიერების ჯემალ და აკაკი ბერიძეების ბაბუა.

- სოფელი, საზოგადოება თქვენს ქველმოქმედებაზეც საუბრობს....

- სოფელში გვყავს ხელმოკლე ოჯახები, რომლებსაც თანადგომას არ ვაკლებთ. ეს საპატიო საქმე ბაბუისგან მოდის. კომუნისტური რეჟიმის წლებში, მამა სოფლიდან, შუახევიდან წარგზავნილ ხელმოკლე სტუდენტებს მატერიალურად ეხმარებოდა. დას - ეთერის, 150-ზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული, თანადგომას არ აკლებს შუახეველებს. ორივე ჩვენს წილს ვდებთ გაზეთ „შუახევის“ გამოცემაში. მსურს, ობლად დარჩენილ ძმებს ანრი და კახა ბერიძეებს დავეხმარო და ასეც ვიზამ.

- საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს, რუსი ოკუპანტები კი უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობას მუსრს ავლებენ, ქალაქებსა და სოფლებს ანადგურებენ...

- პროფესიით მასწავლებელმა, სპეციალობით ისტორიკოსმა, კარგად ვიცი, რა მოსდევს ომს. ჩემი თაობა სამოქალაქო და რუსეთ-საქართველოს ომების მომსწრეა. ომი ნგრევა და აწიოკებაა, სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვაა. როგორი ბოროტი უნდა იყო, რომ საქართველოს მთავრობას რუსეთთან ომში ჩართვისკენ მოუწოდო. ასეთი წაქეზებით ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი დავკარგეთ. ოჯახის, მეგობრებისა და მეზობლების მოსიყვარულეს, მამას, ბაბუას მშვიდი და დაწყნარებული ცხოვრება, ქუჩაში მომღიმარ ადამიანებთან შეხვედრა, საღვთო და ეროვნული დღესასწაულების ჩვეული სულისკვეთებით აღნიშვნა მსურს. დამოუკიდებლობამ მსხვერპლი მოგვიტანა და ახლა მის დასაკარგად ნუღარ გავიღებთ მსხვერპლს.

> ***„ფურტიო შუახევში პირველი სოფელია, სადაც მოასფალტებული გზა შემოვიდა. გამართიდან სასმელი წყალი გამოვიყვანეთ, რომლითაც 20-მდე ოჯახი ახლაც სარგებლობს. 5,1 მილიონი ლარი მოხმარდა სოფელ რაქვთიდან სასმელი და სარწყავი წყლის ლითონის მილებით გამოყვანას, რომლითაც ფურტიოს, ბუთურაულის და ნენიის მოსახლეობა მარაგდება. ზამლეთის თემი 4 სოფელს აერთიანებს. მოასფალტებული გზები შევიდა ნენიაში, ბუთურაულში, ნიგაზეულში“***

ვაშლოვანს ახალი სკოლა დაამშვენებს

ქვემო ვაშლოვანი 500-ზე მეტ კომლს ითვლის. აქ არსებული რუსლან მელაძის სახელობის საჯარო სკოლის შენობა დროის მოთხოვნებს ვეღარ პასუხობდა, მოსახლეობა ახლის აგებას ითხოვდა, რაც აჭარის მთავრობამ ყურად იღო

ქვემო ვაშლოვანში სკოლა და საცხოვრებელი კორპუსი აშენდება. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მშენებლობაზე ელექტრონული კონკურსი გამოაცხადა.

სასწავლებლის სამსართულიანი კორპუსი 350 მოსწავლეზეა გათვლილი. სკოლა პროფილური მიმართულების იქნება - ბავშვები საბუნებისმეტყველო საგნებსა და უცხო ენებს გაძლიერებულად შეისწავლიან.

შენობაში განთავსდება ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, სააქტო დარბაზი 200 მაყურებელზე, სპორტული დარბაზი - მაყურებლისთვის გათვალისწინებული აივნით. საცხოვრებელი კორპუსი 150 მოსწავლისათვის მოეწყობა. ეზოში არსებული ღია მოედანი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტდება, მოეწყობა ტრიბუნები 250 მაყურებელზე. შენობა იქნება სრულად ადაპტირებული და ენერგოეფექტური.

პროექტის ღირებულება 10 283 087 ლარია. სამუშაოების დასრულებისთვის კი 36 თვეა განსაზღვრული.

- ეს კიდევ ერთი სიახლე იქნება ხულოში. ასეთი მასშტაბური პროექტი პირველად ხორციელდება, რაც სასიკეთოდ წაადგება მომავალ თაობას, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ.

დებატკლუბები – ახალდაბაში

შუახევის მუნიციპალიტეტის ახალდაბის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა დებატკლუბებია შექმნილი

მათი მუშაობის პროცესს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძე და რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე გაეცნენ.

მოსწავლეები აქტიურობდნენ, დასმულ პრობლემატურ კითხვებზე არგუმენტირებულად პასუხობდნენ. სკოლა მცირეკონტინგენტიანია და ამიტომ დებატკლუბში V-XII კლასების მოსწავლეები ერთად იყვნენ ჩართული.

უფროსკლასელებს მეხუთეკლასელებიც ტოლს არ უდებდნენ. სკოლის დირექტორმა თემურ დავითაძემ, დებატკლუბის შექმნის ინიციატორმა და ორგანიზატორმა, მასწავლებელმა მალვინა ზოიძემ მოსწავლეებს მსჯელობის უნარი მოუწონეს.

დასასრულ კლუბის წევრები საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს.

სკოლის დირექტორმა როსტომ ლორთქიფანიძესა და ედუარდ გოგრაჭაძეს საპატიო სიგელები გადასცა სკოლების საქმიანობაში ჩართულობისთვის.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

აჭარაში ბარმენებს ტრენინგები ჩაუტარდათ

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

აჭარაში, სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ტრენინგ-სემინარები მიმდინარეობს. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ავრცელებს

მისივე ცნობით, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი რეგიონში მოქმედი ბარმენებისთვის ჩაატარა.

„მონაწილეები ბარმენის მუშაობის ძირითად პრინციპებს, კლასიკური ალკოჰოლური კოქტეილების მომზადების ტექნიკას, ბარის მუშაობის სტანდარტებსა და ტიპებს გაეცნენ. გარდა ამისა, შეისწავლეს ბარის პროდუქციის ასორტიმენტი, მენიუსა და ღვინის რუკის შედგენა. თეორიული ნაწილის დასრულების შემდეგ, ბარმენები სხვადასხვა კოქტეილის მომზადების პრაქტიკულ გაკვეთილს დაესწრნენ და თავადვე მოამზადეს სხვადასხვა სასმელი. ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისთვის ტრენინგები წლის ბოლომდე გაგრძელდება.

გასულ წელს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა, რეგიონში სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ტურისტული სექტორის 758 წარმომადგენელი გადაამზადა. ტრენინგები, მასტერკლასები და ლექციები მთიან აჭარასა და ბათუმში ბარმენებისთვის, გიდებისთვის, ტურისტული სააგენტოებისა და საოჯახო-სასტუმრო სახლების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ევროპის დღეები“ მეათედ - საქართველოში

„ევროპის დღეები - 2022“- ის ფარგლებში, აჭარაში რეგიონის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებთან საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც 50-მდე მოსწავლე ესწრებოდა

იგი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე ირინა შამილაძემ და აჭარის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელმა ირმა გაბინაშვილმა გახსნეს და ცენტრის საქმიანობასა და ევროპის დღეების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირში საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მისაღებად გაკეთებულ განაცხადზე და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ჰიბრიდული ომების მკვლევარმა დავით ძიძიშვილმა საინფორმაციო ომის თავისებურებებზე, ევროინტეგრაციის პროცესის თანმდევ დეზინფორმაციასა და ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის საკითხებზე ისაუბრა. ყურადღება გამახვილდა დასავლური ღირებულებების მნიშვნელობასა და ახალგაზრდებში მედიაწიგნიერების უნარების გაძლიერებაზეც.

შეხვედრას ესწრებოდა რეგიონის ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელობა და აჭარის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურების წარმომადგნელები.

ღონისძიების დასრულების შემდეგ მოსწავლეები ქობულეთის ისტორიულ მუზეუმს ეწვივნენ.

„ევროპის დღეები“ აჭარის რეგიონში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო, კულტურული აქტივობებით მიმდინარეობდა. გეგმის თანახმად ღონისძიებები 9-25 მაისამდე გაგრძელდა და კამპანიაში მონაწილეობის მიიღება შეეძლოთ რეგიონის სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ მიზნობრივ ჯგუფებს, საჯარო, საგანმანათლებლო და პროფილური დაწესებულებების წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ „ევროპის დღეები“ საქართველოში უკვე მეათედ იმართება, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს. ევროპის დღეების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებით ყურადღება გამახვილდება ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელობაზე, ევროპულ ღირებულებებსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ანკა ჩხიკვაძე

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, ომის დასრულების შესახებ მოლაპარაკებები რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან აუცილებლად გაიმართება, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. „სამხედრო ნაწილის შემდეგ იქნება სამშვიდობო პროცესი, დავსხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან და აუცილებლად დადგება მშვიდობა. საკითხავია, ვისთან გამართავს უკრაინა მოლაპარაკებებს, რუსეთის რომელ პრეზიდენტთან?“ - განაცხადა ზელენსკიმ დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე. მისი თქმით, რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი ვერ აცნობიერებს, რა ხდება. „ის თავის საინფორმაციო სამყაროში ცხოვრობს და ვერ ხვდება, რომ უკრაინა დათმობებზე არ წავა“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისივე თქმით, ვლადიმირ პუტინთან მოლაპარაკებები შესაძლებელი იქნება, როდესაც ის მზად იქნება რეალობაში დაბრუნებისა და იმის გაცნობიერებისთვის, რომ უამრავი ადამიანი იღუპება. „მაშინ შეიძლება, ვცადოთ, თუ გვიანი არ იქნება რუსეთის ამჟამინდელ მთავრობასთან ერთად დიპლომატიური გზით სიარული“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

ლიეტუვა უკრაინაში 20 ერთეულ M113 ჯავშან-ტრანსპორტიორს, 15,5 მილიონი ევროს ღირებულების სამხედრო სატვირთოსა და გამნაღმველ მანქანებს გაგზავნის. ამის შესახებ ინფორმაციას Sky News-ი ავრცელებს. „ჩვენი და მოკავშირეების კოორდინირებული დახმარება უკრაინის გამარჯვებისთვის გადამწყვეტი ფაქტორია“, - აღნიშნა განცხადებაში ლიეტუვ□ს თავდაცვის მინისტრმა არვიდას ანუსაუსკასმა. უწყების თქმით, აღნიშნულ შეთავაზებამდე ლიეტუვამ უკრაინას 100 მილიონი ევროს ღირებულების სამხედრო დახმარება გაუწია.

* * *

კრამატორსკის მერ ალექსანდრე გონჩარენკოს ინფორმაციით, რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა დონეცკის ოლქის ქალაქ კრამატორსკის საცხოვრებელ უბნებსა და კერძო შენობებზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელა. „შემაშფოთებელი ღამე კრამატორსკში - საჰაერო თავდასხმა საცხოვრებელ უბნებსა და კერძო სახლებზე. მსხვერპლი არ არის“, - წერს გონჩარენკო. გონჩარენკომ იმ მცხოვრებლებს მოუწოდა, რომელთაც ქალაქი დატოვეს და უსაფრთხო ადგილას იმყოფებიან, ახლა კრამატორსკში არ დაბრუნდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, რუსული ქვედანაყოფები ამჟამად სლოვიანსკის მიმართულებით შეტევის განახლებისთვის ემზადებიან. მედიის ინფორმაციით, კრამატორსკი სლოვიანსკიდან 18 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და საფრთხის ქვეშ არის.

* * *

სუმის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ დმიტრო ჟივიცკის ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა სუმის რეგიონში კრასნოპილიას დასახლებაზე სარაკეტო იერიში მიიტანა, რის შედეგად სახლები და ელექტროგადამცემი ხაზები დაზიანდა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. „ღამით, დაახლოებით 01:00 საათზე, მტერმა რუსეთის ტერიტორიიდან კრასნოპილიას რაკეტები ესროლა“, - ნათქვამია განცხადებაში. ჟივიცკიმ აღნიშნა, რომ დასახლებაში დაახლოებით 20 სახლი და ელექტროგადამცემი ხაზები დაზიანდა. მისი თქმით, სოფლის მოსახლეობის ნახევარი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

* * *

ომის დაწყების შემდეგ ოდესაში ან მის გარეთ არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საზღვაო გადაზიდვა. რუსეთის მიერ შავი ზღვის საკვანძო პორტების ბლოკადამ შეაჩერა კომერციული გემების ინდუსტრიის ოპერირება ამ ტერიტორიაზე, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის განახლებულ ინფორმაციაშია აღნიშნული. „უკრაინული მარცვლეულის მნიშვნელოვანი მარაგი რჩება საწყობში, რომლის ექსპორტი შეუძლებელია. საომარმა მოქმედებებმა უკვე მოახდინა არაპირდაპირი ზეწოლა მარცვლეულის გლობალურ ფასებზე. იმის გამო, რომ რუსეთის საზღვაო ბლოკადის საფრთხე კვლავ აფერხებს კომერციული გემების წვდომას უკრაინის პორტებზე, მიწოდების დეფიციტი კიდევ უფრო გაზრდის ფასს ბევრ ძირითად პროდუქტზე“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკას გერმანიაში გაივლიან

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა და გერმანიის მასპინძლობის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გერალდ ვიტცელმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი

ბსუ-ის ცნობით, ხელშეკრულების ფარგლებში, ყოველწლიურად, ტურიზმის ფაკულტეტის 100-მდე სტუდენტი სამთვიან ანაზღაურებად პრაქტიკას გერმანიის მაღალი კლასის სასტუმროებში გაივლის და გაეცნობა მათი ძირითადი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებას.

„მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს ტურიზმის ფაკულტეტთან ერთად სასწავლო-სამეცნიერო პროექტების განხორციელებას, პროფესორ-მასწავლებელთა და მკვლევართა გაცვლითი პროგრამის ამოქმედებას, ერთობლივი კონფერენციების, საზაფხულო სკოლების და სემინარების ჩატარებას, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის და საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარებას. მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარე წლის ზაფხულში ტურიზმის ფაკულტეტის 68 სტუდენტი სასწავლო პრაქტიკით გერმანიაში გაემგზავრება. პრაქტიკის განმავლობაში გერმანული მხარე სრულად უზრუნველყოფს მათ ღამისთევას, კვებასა და სტიპენდიას (550-800 ევროს ოდენობით). გარდა ამისა, სტუდენტების მგზავრობის ხარჯები დაიფარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პროგრამული დაფინანსებით.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ერთი მემორანდუმი უკვე იყო გაფორმებული, რომლის ფარგლებშიც სასწავლო-პრაქტიკული კურსი გერმანიაში ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის 800-მდე სტუდენტმა გაიარა“,- ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

„ლარი ნამდვილად არაადეკვატურად იქცევა...“

ლარი თითქმის ორი თვეა, მყარდება, უკვე 2,9-იან ნიშნულსაც ჩამოსცდა და გუშინ ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 2,8668 ლარი იყო. მეტიც, გამყარების შესაჩერებლად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გუშინწინ ბაზრიდან 10 მლნ დოლარიც კი ამოიღო

ბიზნესდისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი **ივა ჭყონია** რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ აცხადებს, რომ ტენდენცია პროდუქციის დიდ ნაწილს ვერ გააიაფებს, თუმცა ფასების მეტად ზრდას კი დააბალანსებს.

„ძალიან ხშირად ვიღებ მოსახლეობისგან კრიტიკას, რომ ჩემი განცხადებები არ არის დამამშვიდებელი, მაგრამ სამწუხარო რეალობა ასეთია. ახლაც საერთაშორისო ბაზარზე ინფლაციის დონე მაღალია, ჩვენი ქვეყანა კი სრულადაა დამოკიდებული იმპორტირებულ პროდუქტზე. რაც შეეხება ეროვნული ვალუტის გამყარებას, ლარი ნამდვილად არაადეკვატურად იქცევა და გამყარებაც არ არის ადეკვატური! მერწმუნეთ, პროდუქციის გაძვირება ძალიან მტკივნეული პროცესია ბიზნესისთვის. რთული გასაგებია, მაგრამ... უფრო რთულიც კი - ბიზნესისთვის, ვიდრე მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით, იმ ფონზე, როცა საწვავის ფასები კატასტროფულად გაზრდილია. დღევანდელი გამყარებული ვალუტა აბალანსებს საწვავის გაზრდილ ფასს და საერთაშორისო ბაზარზე გაძვირებულ ნედლეულს. ერთადერთი, რაც შემიძლია დამამშვიდებელი ვთქვა: თუ ეს კურსი შენარჩუნდა, პროდუქტი აღარ გაძვირდება. მიუხედავად ამისა, ვეჭვობ, რომ ლარი არაადეკვატურადაა გამყარებული - ფუნდამენტური ფაქტორების გარეშე. 3,0 ნიშნულს ზემოთ ლარი თუ არ წავიდა, შესაძლებელი იქნება გარკვეულ პროდუქტებზე ფასების შენარჩუნება, თუმცა, რომ ავიღოთ სოფლის მეურნეობის პროდუქცია, 1 ჰექტარი მიწის დახვნა თუ ჯდებოდა 500 ლარი, ახლა 700 ლარი ჯდება. საკმაოდ რთული საპოვნელია მუშახელი. მინდორში სარწყავი სამუშაოებიც საწვავზეა დამოკიდებული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გაიაფება შეგვიძლია დავარქვათ ფასების შენარჩუნებას - უნდა გაძვირებულიყო და... შენარჩუნდა. არის რაღაც სწრაფად ბრუნვადი პროდუქტი, რომელიც პირდაპირ კურსზეა მიბმული და ამაზე იმოქმედებს, მაგრამ ვერცერთ შემთხვევაში - მასშტაბურად“, - განაცხადა ივა ჭყონიამ.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
კოლიბრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 25/05/22, 21 ³⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„გავიცნოთ მწერალი“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

- ასე ეწოდებოდა აჭარის მწერალთა სახლში გამართულ შეხვედრას, რომელზეც აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ფოლკლორისტიკის წრისა (ხელმძღვანელი - მაია ჯაფარიძე) და ლიტერატურული სალონის (ხელმძღვანელი - ეთერ კონცელიძე) წევრებმა საბავშვო მწერალი დალი თედორაძე მიიწვიეს და მისი წიგნის „როგორ გაჩნდნენ დევები“ წარდგენა-განხილვა მოაწყვეს. იქვე გამოიფინა მწერლის ზღაპრების მიხედვით შექმნილი მოსწავლეთა ნახატები.

ღონისძიებას უძღვებოდა შეხვედრის ორგანიზატორი, ჟურნალ „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების კოორდინატორი, ქ. ბათუმის №3 საჯარო სკოლის ქართულის - როგორც მეორე ენის და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაია ჯაფარიძე.

უფროსკლასელებმა ერთმანეთს შეადარეს ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების პერსონაჟები, სიუჟეტები, ისაუბრეს ზღაპრების თემატიკაზე, რომელიც ეხმიანება თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ პრობლემურ თემებს, საინტერესოდ წარმოადგინეს როგორც მათ მიერ შექმნილი ზღაპრები, ასევე ლიტერატურული ზღაპრების გაგრძელებებიც.

განხილვაში მონაწილეობდნენ ქ. ბათუმის №3 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები, რომლებიც ქართულს, როგორც მეორე ენას, ისე სწავლობენ. მათ წარმოადგინეს დალი თედორაძის ზღაპრების ხელნაწერი წიგნები, ჩაერთნენ ზღაპრის კითხვაში.

მე-5[3] კლასის მოსწავლეებმა ტექნოლოგიების საგნის პედაგოგ ნინო ხუჯახის დახმარებით, ზღაპრების მიხედვით შექმნილი ელექტრონული ნახატები გვიჩვენეს. კომპიუტერულ ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებისთვის ეს იყო მაგალითი, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ელექტრონული რესურსები სწორად და მიზნობრივად.

მე-5[ფ] კლასის მოსწავლეებმა მწერლის ზღაპრებით გადმოცემულ მთავარ საკითხებზე - სიკეთესა და ბოროტებაზე, ბულინგზე, გარემოსდაცვით პრობლემებზე ისაუბრეს, პარალელები გაავლეს ცხოვრებისეულ მაგალითებთან.

მწერალმა ბავშვების კითხვებსაც უპასუხა.

შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის მწერალთა სახლის ოფისმენეჯერი მარიკა ლაშხია, აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი ეთერ კონცელიძე, ბათუმის №3 საჯარო სკოლის მე-5[ფ] კლასის დამრიგებელი რუსუდან დავითაძე. ღონისძიებაზე მოწვეული იყო სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის რეგიონული ცენტრის“ უფროსი ცისანა ჩიკვაიძე.

შეხვედრის ბოლოს კენჭისყრით ყველაზე საინტერესო და აქტუალურ ზღაპრად დაასახელეს „როგორ გაჩნდნენ დევები“ და „მელირების მწვანე სამფლობელო“.

- მწერალთა სახლის ისტორიულმა შენობამ დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე. კედლებზე წარმოდგენილმა ფოტოისტორიამ ბავშვები ქართული ლიტერატურის სამყაროში ამოგზაურა. ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეებისთვის ავტორის გაცნობა, მასთან უშუალო შემოქმედებითი ურთიერთობა, კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და ინტერესის მოსწავლეთა გაერთიანება.

- დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ აჭარის მწერალთა სახლის დირექტორ ლალი კონცელიძეს, რომლის თანადგომითაც შედგა ავტორისა და პატარა მკითხველების შეხვედრა, - გვითხრა მაია ჯაფარიძემ.

„ცისარტყელას“ საქველმოქმედო სპექტაკლი - ურეკში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ინკლუზიურმა თეატრალურმა დასმა „ცისარტყელა“ უკრაინიდან იძულებით გადაადგილებული სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის, რომლებიც ურეკის სხვადასხვა სასტუმროში არიან დაბინავებული, საქველმოქმედო სპექტაკლი გამართა

უშუალოდ სპექტაკლს კი უმასპინძლა ნოდარ დუმბაძის ქუჩის №7[ა]-ში მდებარე სასტუმრომ, საბავშვთა ოჯახებს, გაიგეს, რა ესაჭიროებოდათ მათ და ამის მიხედვით შეუძინეს წამლები, სამედიცინო ინვენტარი, სათამაშოები, დარჩენილი თანხა კი მათ ოჯახებს გადასცეს.

დაც კომპაქტურად 15 ოჯახი დაბინავეს. სპექტაკლს უკრაინელების 24 ოჯახის წარმომადგენლები დაესწრნენ.

საქმე ისაა, რომ როცა 7 აპრილს აღნიშნული დასის მიერ დადგმული სპექტაკლის „ერთი სოფლის ამბავი“ (რეჟისორი - ნიკა ტუღუში) პრემიერა გაიმართა, წარმოდგენის ბოლოს თეატრალურ დასს კეთილმა ადამიანმა - „ტექტო ჯგუფის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ერეკლე ქაჯაიამ საჩუქრად 10 ათასი ლარი გადასცა. მაშინვე ითქვა, რომ ამ თანხით დაეხმარებოდნენ სპეციალური საჭიროებების მქონე უკრაინელ ბავშვებს, რომლებმაც იძულებით დატოვეს სამშობლო.

როგორც სპექტაკლის რეჟისორმა ნიკა ტუღუშმა გვითხრა, ისინი დაუკავშირდნენ ურეკში მცხოვრებ სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მასწავლებელ, - გვითხრა ნინო ინაიშვილმა.

- ჩვენ ადრეც გვქონდა უკრაინაში ინკლუზიური დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების ნახვის შესაძლებლობა, მაგრამ რაც დღეს ვნახეთ, ძალიან ამაღელვებელი და შთამბეჭდავი იყო. ბავშვებს ძალიან მოეწონათ თქვენი მუსიკალური სპექტაკლი. მონაწილეები მონდომებითა და აღფრთოვანებული სახეებით თამაშობდნენ სცენაზე. კარგად ჩანს, რომ ისინი ბედნიერები არიან და რასაც აკეთებენ, ძალიან მოსწონთ, რაც უფროსების დამსახურებაცაა. მადლობა ბავშვებს და მათ, ვინც პატარებს დღეებს ასე ულამაზებს, - გვითხრა უკრაინელმა მშობელმა დიმიტრი ფომინმა.

პრემიერა - სოფლის სკოლის სცენაზე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრ ნანა შაინიძის ინიციატივითა და ამავე კავშირის წევრ ვახტანგ გოგრაჭაძის მხარდაჭერით, შუახევის კულტურის ცენტრთან მოსწავლეთა თეატრალური დასი ჩამოყალიბდა. სახელიც შეურჩიეს - „მარმენიო“, რაც ბედისწერას ნიშნავს

რეჟისორი, დასის წევრები ანა, თაკო, თორნიკე თურმანიძეები, შოთა, ლინდა, გოგა, ქეთი, ნინი, ელენე, ლუკა, ლაშა დავითაძეები, დინა ფუტკარაძე, მეგი გოგიაშვილი, მირიან ზოიძე, ლიზი დუმბაძე უნარებს არ ზოგავდნენ, რომ სპექტაკლი სამზეოზე გამოეტანათ.

ორგანიზატორებმა ლიტერატურულ-თეატრალური კომპოზიციის „ქორონიკონის“ პრემიერა ოლადაურის საჯარო სკოლის საქტო დარბაზის სცენაზე გამართეს. ეს პირველი თეატრალური პრემიერა იყო, რაც კიდეც აღნიშნა საჯარო სკოლის პედაგოგმა ჟუჟუნა მაკარაძემ: „1915 წელს პირველი საგანმანათლებლო კერა ოლადაურში აღდგა. რაოდენ სიმბოლურია, როცა შუახევში ჩამოყალიბებულმა დასმა პრემიერა ჩვენთან გამართა“.

კომპოზიცია დადებითად შეაფასეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ, ოლადაურელმა პოეტმა მერაბ მაკარაძემ.

- პრემიერა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მივუძღვენით, მონაწილეებმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მატერიალური და მორალური თანადგომისათვის, - გვითხრა ნანა შაინიძემ.